ნაციონალისტი

ორშაბათი ოქტომბრის 3 1920 წ. — ნაციონალური და აზრიანული პოლიტიკის ორგანო — № 4 — ფასი 10 მან.

მისამართი: რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-60. რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა: წლის დამლევამდე — 750 მან. ფოსტ. ხარჯით. ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი: მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. ხტრიქონიანი ტექსტი 1 გვერდზე — 15 მან. 3-4-გვერდზე — 10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი — 300 მან.

ელენე ვახტანგის ასული ვაჩნაძე შვილებით, რძლით და სიძეებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს რომ გარდაცვალების წლის თავზე 7 ოქტომბერს სოფელ ბაკურციხეში წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ვლადიმერ დავითის ძე ვაჩნაძის

სულის მოსახსენებლად.

პართული კლუბი

კვირა, 3 ოქტომბერს 1920 წელს დღის 12 საათზე დანიშნულია ქართულ კლუბის დარბაზში

წევრების საგანგებო და ზოგადო კრება

1. 1920—21 სამოსწავლო წლის სტიპენდიების განახლება.
2. კლუბის წევრთა და და მუდმივ მოსაიარულეთა არჩევნები.
3. მიმდინარე საკითხები.

შენიშნა: კლუბის წესდების მე-31 მუხლის ძალით კრება კანონიერათ ჩაითვლება, რაც მცირე წევრთა რიცხვიც არ გამოცხადდეს.

(2—1)

შავი ქვის მრეწველთა საბჭო

აცხადებს კონკურსს

საბჭოს ყოფილ თავმჯდომარის ბ. ზდანოვიჩის სახელობის

სახალხო სახლის

საესკიზო პროექტის შესადგენად

სახლის აგება განზრახულია ჭიათურაში ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოების „ჩემოს“ ხარჯით.

შედარებით უკეთეს პროექტისათვის საერთო ჯამიდან 300,000 მანეთიდან მიცემული იქნება სამი პრემია:

1 პრემია 125,000 მან.
2 „ 100,000 მან.
3 „ 75,000 მან.

პროექტების წარმოდგენის ვადა 1921 წლის იანვრის 20 არის.

კონკურსის პირობებისა და დაწვრილებით პროგრამის მიღება შეიძლება ყოველ დღე ოქტომბრის 15-მდე საბჭოს ბინაზე თბილისში, რუსთველის პროსპექტზე, № 13, დილის 11-დან 12 საათამდე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

(2—2)

კორესპოდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მდგომიეთ აწყდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (ოფლისა ჯ: ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი

კორესპოდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ.

ბლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი საჯაროდ დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ ბლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო—საკრებულო (ადგილ მამულის, ურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების), ზოგზე დასაკმაყოფილებლად საათანადო დაწესებულებათა თაო.

ყოველგვარი ცნობები, შეკითხვა-ლოგობანი და სხვა ადასტურ მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. № 5

პროფესიულ დელეგატთა სურვილისამებრ პარტიის კონფერენცია გადაიდო და შესდგება 23 ოქტომბერს

(ძველი სტილით 10 ღვინობისთვეს)

საქართველოს

ნაციონალური პარტიის

პირველი

კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარ. კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. სამაზრ. მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. საერთ. და საპარლამენტო არჩევნების საკითხი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამთუძნებელი კრების აირჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

საქართველოს სახელმწიფო განკის გალანსი 1920 წ. 1 ოქტომბერს

აქტივი (ათასობით)

კასა	487.695
სახელდახელო ანგარიში ბანკისა ხაზინაში	27.495
ოქრო, ვერცხლი, უცხოეთის ფულიუტა, ჩეკები და ტრატები	23.747
განაღდება თამასუქების, სავაჭრო ვალდებულებათა და ვადიან ქალალდებისა	57.647
სპეციალი სახელდ. ანგარ. უზრ.-ყოფილი თამასუქებითო და სავაჭრო ვალდებულ	8.449
სესხი და სპეციალ სახელდახ ანგარ საქონლით და საქონლის მიერის საბუთებით	72.079
ანგარიში მთავრობასთან და ხაზინებთან	73.937
„ უძრავის ქონების და მოწყობა მოშართვისა	246
დასაბრუნებელი თანხები, თამასუქების ქალალდი და ღერბის მარკები	1.358
მიმდინარე ხარჯები	2.359
ბალანსი	755.012

პასივი (ათასობით)

ძირითადი თანხა	150.000
სპეციალი „	50.000
ანაბარი ვადიანი, უვადო და სახელ	
დახელო ანგარიშები	548.512
გადუხდელი გადმოგზავნილი ფული	
და გარდამავალი თანხები	1858
სარგებელი მიღებული ოპერაციებისაგან	4.623
საპენსიო თანხა	19
ბალანსი	755.012
საკომისიო თამასუქები და საბუთები	652
საკტივო ოპერაციების უზრუნვ.-ყოფ. საბუთები	8.421
ანაბარი შესანახად	115.186
გარდამავალი სიფასენი	23987

სომხეთთან კავშირის საკითხი.

ოსმალებმა ახალი შეტევა დაიწყეს სომხეთზე.

ამის გამო ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“ წინადადებას იძლევა შეიქმნას სამხედრო კავშირი საქართველოსა და სომხეთს შორის, ოსმალებთან ერთად საბრძოლველად.

„საქართველო“ ამას ალბად იმ თათბირის გავლენით სწერს, რომელიც ამას წინად ჰქონდათ ეროვნულ დემოკრატებს აქაურ სომხის ბურჟუაზიასთან და რომლის მიზანი იყო მომავალ არჩევნებში ბლოკის შეკვრა და თანაც სომხის კაპიტალისაგან შესაფერი დახმარების მიღება.

თორემ ჩვენ არა გვგონია, რომ ქართველი ერისათვის მისაღები იყოს სომხეთთან სამხედრო კავშირის შეკვრა.

ბორჩალოში სომხებისაგან ვერაგულად დაწყებული ომის მწარე მოგონებანი ჯერ კიდევ არ ამოშლილა საქართველოს მეხსიერებიდან, რომ სომხეთთან სამხედრო კავშირს ჩვენი ხალხი დაენდოს.

სომხეთის მეზობლობის ნამყენები კი ეხლაც თვალწინ გვაქვს; მიუხედავათ იმისა, რომ სომხეთი სატრანზიტო ხელშეკრულობით ვალდებულია თავისუფლად გაატაროს თავიანთ გზაზე საქონელი ჩვენთვის, სწორედ ამ დღეებში ნება არ მისცეს ჩვენ მთავრობას, სპარსეთში ნაყიდი სურსათი წამოელო სომხეთის გზით.

ამას გარდა მართალია ის, ვინც სთქვა, რომ საქართველო პატარა ინგლისიაო. თითქმის ნახევარი საქართველო სამაჰმადიანოა, და ამ მუსლიმანებს ყოველთვის უნდა ანგარიში გაეწიოს პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის დროს.

საქართველოს მიერ სამხედრო კავშირის შეკვრა სომხეთთან, რასაკვირველია, სულ გააუარესებს ისედაც გაოთულებულ მდგომარეობას ბათუმის ოლქში დასაშუალებას მისცემს მუსტაფა ქემალ-ფაშას, გადაკიდოს ისედაც უკმაყოფილო აჯარლები საქართველოს და მიიზიდოს ისინი თავის მხარეზე.

ყველაფერს ამას დიდი ანგარიშის გაწევა უნდა და ჩვენ გვგონია, რომ სომხეთთან განმარტოებით სამხედრო კავშირი ყოველთვის მიუღებელი იქნება საქართველოსთვის, თუნდაც სომხეთმა პროტექტორების ამდენი ძებნის შემდეგ თავისი მანდატი საქართველოს შესთავაზოს.

საქართველოს დამოუკიდებლობა და ს. დევდარიანი.

საქართველოს თავისუფალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების პირველ ხანებში ხშირად ვხვდებოდით ქართველ სოციალ-დემოკრატების ზეპირ სიტყვაობაში თუ მათ საგაზეთო წერილებში, რომ იძულებული ვიყავით რუსეთიდან გამოვყოფილიყავით, ისტორიულმა აუცილებლობამ გვიკარნახა ასეთი ნაბიჯის გადადგმაო და ამიტომ ისინი ვიღაცის წინაშე თითქმის ბოდიშს იხდიდენ, თავს მართლულობდენ და ეფიცებოდენ მოღალატეებათ არავის დაესხა ისინი და სხვა და სხვა. მაგრამ ყველაფერს ამას ოპოზიცია, შედარებით, რბილად ეკიდებოდა და შეძლებისადაგვარად გულგრილად ისმენდა, რადგან შედიოდა მათ მდგომარეობაში, რომ ის ხალხი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ერს უარყოფდა, უცბად სხვანაირად ვერ მოიქცეოდა; ხედავდა სამშობლოს გულწრფელი მოყვარული ხალხი, რომ სოც. დემოკრატები მორცხობდენ ნაციონალური საქმის კეთებას, მაგრამ თანდათან თითქოს მოქრისტიანდენ და ათასში ერთხელ, კანტი-კუნტათ, თუ წამოისროდა რომელიმე მათგანი ზემოხსენებულის მზგავს რამეს. ასეთ პირობებში, იმედი გვეძლეოდა, რომ ჩვენში გაბატონებული, მმართველი პარტია ახლავეთ შეუდგა სახელმწიფოს განმტკიცების გზას, მაგრამ დახედეთ ჩვენს გაკვირვებას, რადესაც მენშევიკების პარტიის თეალსაჩინო წევრი, მათი ორგანოს მთავარი თანამშრომელი ბ. სეით დევდარიანი 25 სექტემბრის „ერთობაში“ ასეთ მარგალიტებს აფრქვევს: „ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა უკეთესად ეთანხმებოდა საერთაშორისო გზას. ეს აუცილებელი შეიქნა იმ ისტორიულ ხანაში, ეს არ ყოფილა და არც არის ჩვენთვის მუდმივი ჭეშმარიტება. ეს იყო, როგორც რუსები იტყვიან ხოლმე, Печальная необходимость, საწუხარო, არა სასურველი აუცილებლობაო.

„ურია ღმერთს ნუ ჰფიცავ და არა ღმერთმანიო“. სწორეთ ბ-ნ დევდარიანზე ითქმის. ხამუშ-ხამუშ ალბათ კიდევ მოუვლის ხოლმე ჯიგარი და კვლავ რუსეთისკენ იცქირება და ამიტომ სამწუხარო, არა სასურველ აუცილებლობათ მიაჩნია საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს საკუთარის გზით სიარული, რომელიც მუდმივ ჭეშმარიტებათ არ მიაჩნია მენშევიკების ერთ-ერთ ლიდერთაგანს.

შემდეგ ბ-ნი დევდარიანი ბრძანებს: „ჩვენ მივიღეთ რუსეთიდან გამოყოფა, როგორც ისეთი ფაქტი, რომელიც სრულიად არ ეთანხმება ჩვენი პარტიის სურვილებს, მაგრამ ამ ფაქტით ვსარგებლობდით და ვსარგებლობთ იმავე მიზნის მისაღწევათ, რომელსაც ვემსახურებოდით რუსეთის სახელმწიფოებრივ ფარგლებში.

აშნაირად ბ-ნი დევდარიანისთვის ჯერ საერთო ოჯახი არსებობს და მერე ერი. ერის დამოუკიდებლობა მისთვის ერთი საშუალებათაგანია „დიდი“ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად. საკაცობრიო ოჯახისთვის საჭირო რომ შეიქნეს, დევდარიანები ერს ისევ დაივიწყებენ და. ამით „უკეთ“ დაიცავენ ერის ინტერესებს რაკი საერთაშორისო გზით მიდიან.

არა, ბ-ნო დევდარიანებო, თქვენ თურმე კვლავ არა სანდონი ყოფილხართ, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველნი; თქვენ ისევ რყვნით ქართველი ხალხის ფსიხიკას და კვლავ რუსეთის ხალხში გათქვეფისკენ ეპატიჟებით.

ყველაფერი ამით თქვენ ძველ გზას ემსახურებით. ვთქვათ ეს ასე მაგრამ მაშინ რაღათ აშენებთ ერთი ხელით იმას რაც მეორე ხელით ისევ უნდა დაანგრიოთ? რაღათ მუშაობენ თქვენი ამხანაგები სახელმწიფოში და სახელმწიფოს გარეთ საქართველოს იურიდიულ ცნობისთვის? ხვალ რომ სხვა ქარმა დაუბეროს და qe iure-თ ცნობილმა საქართველომ ველარ გაგიწიოთ საჭირო სამსახური?

საქართველოს დამოკიდებულება ხომ თქვენთვის არ ყოფილა და არც არის მუდმივი ჭეშმარიტება?

მეტი რომ არა ვსთქვათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის საშიში ხასიათი ხართ ასეთი აზრებით.

ნელი.

ძველ პოეზიაზე.

ინტერნაციონალი კულტურა მძვინვარე ვეშაპივით მოექანება. მას დამოუკიდებელი კულტურა აბრაზებს.

კულტურა—არსი ინდივიდუალი, ნაცია—ალფა და ომეგა კულტურის—უარყოფილია. ჩვენც დღითი დღე ვიწამლებით კომერციული კულტურის ფაბრიკაციით.

და ცოფიანი კოსმოპოლიტები ჰქმნიან დიდს კომერციულ კულტურას, ხელოვნების საერთაშორისო ბირჟით, რომ ერის სული უნაყოფო გახდეს, ხოლო სამშობლო ენის ბრწყინვალება უსახო ესპერანტომ შეალამოს.

მაგრამ ერის კულტურა ხომ შემომქმედ პიროვნებებზეა დამოკიდებული? ჰენიაში აშიშვლებულია ერის სული. ჰენია—ერის სულის კვინტესენციაა.

ჩვენგან გავლილი საუკუნოები დიადი მოგონებებითაა სავსე და საპატიო ძეგლებით არი დაფარული. ჩვენი წარსული ჩვენივე თვითდამტკიცებაა.

არავითარი საკუთრო ჩვენ არა გვქონია რომაელებთან, ბერძნებთან არც გერმანელებთან. სამაგიეროდ შეგვრჩა საკუთარი სულიერი ზნეობა, ტრადიციები, მოგონებები.

ჩვენ გვქონდა მრავალი კულტურული გავლენა, მაგრამ თითოეული ჩვენთვის დარჩა, როგორც უბრალო დეკორაცია. ჩვენმა სულმა არც ერთი მათგანი არ შიიღო. ჩვენ უბრუნდებით ჩვენს ოჯახს და ვიღებთ მამათა სამკვიდროს.

ჩვენ ვამკვიდრებთ ყოველ პიროვნებას, წარსულის თითეულ ლანდს და მიუზღავთ თანამდებს.

მათგან შეგვრჩა სიმტკიცე და ზომიერება ამიტომ ვერ მივიღებთ „ბეტმენელ დასმულ“ კულტურას, რადგან დაშრეტილ რასას არ ვეკუთვნით.

გეოგრაფიულმა პირობებმა მეტად ადრე გამოგვიყვანა ისტორიულ ასპარეზზე. ოდესმე უძლიერესი ტომი ვიყავით, მაგრამ შომავალით დაორსულებული საქართველო მონგოლიზმმა გააბერწა.

მთელი მაშინდელი საქართველო ერთი დიდი „ყარამანიანია“, სილარიბის დასაფარავად. „ვარდბულბულიანში რომ იკლავს თავს. ქართული პარნასი ალყა-შემოვლებულია. „ანბანთაქებით“ ხოლო ყარაულებათ ყველგან „მაჯამები“ დგანან. ირგვლივ გრიალებენ გრძელი პოემები, იაფი ფერებით შეღებილი. უტილო; უთავბოლო სიტყვებით გატენილი ოდები, რომლებშიც ტრადიციული და მექანიკური კვდანსი რიტმად ითვლება. კლასიკური ენა ბნელდება, როგორც არადროს. არ არის იმდენი ქმედითი ენერგია, რომ სინამდვილე ესთეტიურად გარდიქმნას. არაბებისგან განაზებული პოეზია ჰკარგავს მოგარისქვის სინაზეს.

კარის პოეტები ძველს სიუჟეტებს აახლებენ ისევე როგორც საშუალო საუკუნოებში ფრანგი, გერმანელი ესპანელი და სლავიანი პოეტები ჰომერის ჰეკზამეტრებიდან და კურციუსის ბროზიდან აღებულ სიუჟეტებს ჰლექსავდენ.

მაგრამ ამ ეპოქის დასასრულს ლათინთა საერთაშორისო კულტურამ საქართველოსაც გადაანათა. სბარსული და ბიზანტიური სტილი აქაც იკვლება. კარმელიტანელებს და წმ. ავგუსტინის ორდენის მისიონერებს შემოაქვთ არა მარტო ლიტერატურა, თვითონ ტეხნიკური ხერხი და ზოგი თავისებურობანიც იტალიური არქიტექტურის.

თუმცა ესეც დეკორაციად რჩება. ცნობილია, რომ სწორედ მაშინ იჩინა თავი ეროვნულმა ტენდენციამ და გამძაფრებულმა ინდივიდუალიზმმა. უფრო ენერგიული გახდა პროტესტი „თათრულის“ წინააღმდეგ.

ეს არის პირველი თავის ამართვა მონგოლიზმის მერე, როცა ძველ ნაანდერძევ სახეების, კომბინაციების ახლით შევსება დაიწყო, საქართველოგახდა პოეტების დიდი სახლი:

თეიმურაზ I, არჩილ II,
ან კიდევ მთელი პლეიადა: ნანუჩა ციციშვილი, ხოსრო თურმანიძე, ბარძიმ ვაჩნაძე, ნოდარ ფარსადანიძე, სულხან თონიაშვილი, გარსევან ჩოლოყაშვილი, იაკობ სამებელი, ფერშანგ ბერტყაძე, ფავლენიშვილი ქაიხოსრო, ბერიძის ქალი. ონანა კახი მდივანი და მერე რენესანსის პოეტები: მამუკა ბარათაშვილი, და-

---

უკანასკნელი ცნობები.

ოსმალები განაგრძობენ სომხეთზე შეტევას ყარსის ოლქში ქურდულად მიმართულებით.

——

ვრანგელის ჯარი სად. სინელნიკოვო და ხერსონამდის მისულა;

——

პოლონელებმა აიღეს სადგ. ბარანოვიჩი.

——

მექსიკაში აჯანყებაა.

——

სტამბოლში საფრანგეთის ახალი ჯარი მივიდა.

ქრონიკა.

თუთუნის მონოპოლია.

იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი თუთუნის მონოპოლიის წესების დამრღვევთა სასჯლის სამართლით დასჯის შესახებ. იუსტიციის სამინისტრომ ეს პროექტი კანონების გადამსინჯავ კომისიას გადასცა.

მუშების გაფიცვა.

მუშათა პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატმა დაამტკიცა მეტალოვანთა კავშირის დადგენილება 26 მუშის კავშირიდან გაძევების შესახებ კავშირის დაუკითხავათ გაფიცვის გამოცხადებისთვის. გაფიცვა გამოუწვევია მუშათა მოთხოვნის დაუკმაყოფილობას. მუშებს ტარიფით დადგენილ ჯამაგირზე მეტის მიღება მოუთხოვნიათ.

საგალიუტო ოპერაციები

სახელმწიფო ბანკი იუწყება, რომ საგალიუტო ოპერაციების შესახებ საგალდებულო დადგენილება სექტემბრის 28 შედის ძალაშია.

სახელმწ. ბანკის ბათუმის განყოფილებაში

სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების მმართველად დ. ვაჩნაძე დაინიშნა.

ევროპის სოციალისტები და სომხეთი.

ევროპის სოც. დელ. წასვლისას სომხეთის დელეგატებს განუცხადეს რომ მათ ამ ჟამად შეძლება არა აქვთ სომხეთში წასვლისა. მაგრამ შესაძლებელია რომ მოკლე ხანში სომხეთს ეწვიოს ეკრ. სოციალისტ. მეორე დელეგაცია.

კ. კაუცკი და თბილისის პროლეტარიატი

პროფ. კავშირთა საბჭოს სხდომამ დაადგინა რომ კვირას თბილისის პროლეტარიატი შეიკრიბოს მუშათა სასახლესთან და იქიდან კაუცკის ბინაზე გაემართოს მისასალმებლად.

მოხსენება პურის გამოცხობის შესახებ

სეკრეტარიატის სხდომაზე წარადგინა ი. ჩხენკელმა. კომისიას დაუთვალიერებია 9 წყლის და 1 ორთქლის წისქვილი, ყველა საწყობები და ფურნეები. აღმოჩნდა, რომ დასაფრქვევი ხორბალი უვ-ოგისია. ხორბალში აღმოჩნდა ღვარძლი, ჩენჩო და მტვერი. 10 წისქვილში 2 მუშაობს. დანარჩენებში ხორბლის გასაწმენდი არ არის. სეკრეტარიატმა დაადგინა პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი ბოროტმოქმედებაში.

მატყლის ფასად

მთავრობამ ფუთზე 2.000 მანეთი ლაადგინა.

სურსათის გატანა მაზრეებიდან

ცირკულიარული დეპეშა № 23 სექტ.

ერობათა და ქალაქთა გამგეობებს და აფხაზეთის კომისარიატს. წინაადმდეგ კანონისა და მთავრობის დადგენილებისა ზოგიერთი სამაზრო ერობის გამგეობა და აგრეთვე თემები განაგრძობს თავის მაზრიდან სურსათ-სანოვაგის გატანის აკრძალვას რესპუბლიკის დანარჩენ კუთხეებში და მით ჰქმნის ეკონომიურ კრიზისს და არევ-დარევას. უკანასკნელად ვაფრთხილებთ ერობებს, ქალაქებს და აფხაზეთის კომისარიატს, რომ თუ კიდევ ასეთი მოვლენა განმეორდება, მიღებული იქნება სასტიკი ზომები კანონის და მთავრობის განკარგულების დასაცავად, დამნაშავენი გადაყენებული იქნებიან სამსახურიდან და პასუხის გებაში მიცემულნი.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ყორდანია.**

ვით გურამიშვილი, ბესიკი საიათნოვ.

მიუხედავად სანტიმენტალი რიტორიკისა, მათ სიტყვა ეაამდიდრეს ეპოქის ახალი მიღწევებით. ცხოვრების ახალი შინაარსი ძველ ფორმებს შეეპარა და გადასული ზრდა ჩამოაყალიბა.

საქართველო ეამაყა ბებერ ევროპას, სადაც იკივლა ფრანსუა ვიონმა და სადაც დაქანებული დაისივით მიდიოდნენ: შუასაუკუნეების რომანტიკა და მრგვალი ტაბლის საიდუმლოებანი, წმ. გრაალის ძიება და მერლინის სიცბიერე.

მეთვრამეტე საუკუნის ქართული ხელოვნებაა ლირიკით იწურება. მაშინ შეიქმნა ქართული ლირიკისათვის საკუთარი მიმდინარეობა და ესტეტიკა, რომელსაც არაფერი არ ჰქონდა საერთო არც აღმოსავლეთის დაბალ ალ-ბალ პოეზიასთან, არც ბიზანტიურ ესთეტიკასთან.

დღემდის ბესიკს სთვლიან ჯადოქარად, თუმცა ბესიკამდე მრავალი ჯადოსანი იყო და ამ უცნობმა პოეტიადამ დაწერა ქართული ლირიკა, შეშოიტანა რა პოეტური სიტყვის ინსტრუმენტალიზაცია, ზღვარი და იდეალი ლირიკისა— მუსიკა.

ლიტურგიული ენა პოეზიაში შეჰქმნა თეიმურაზ I-ლმა, რომელიც დღემდის გამოუკვლეველია. მას აქვს საკუთარი სტილი, თავისი პოეტური პრინციპი: განზრახულობა, წინასწარობა და ეფექტების გათვლა, აწონვა თითოეული რითმის და ალიტერაციის. მას უყვარს დაგძელებული მეტაფორები და იმდენი რიტმი, რამდენიც აზრია.

ქართულ ლირიკის გოლგოთაზე ჯვარცმულია ვახტანგ VI-ეც—ქართული ისტორიის მარკუს ავრელიუსი. ჯერ დაუბეჭდავია მისი ორი დიდი წიგნი ლირიკის, სადაც მართალია, არის აღმოსავლური გაგება პოეზიის, მაგრამ სადაც უხვობს ქართული კოლორიტი, რასაკვირველია, არა ეთნოგრაფიული.

უსათუოდ დიდი გვირგვინოსანია, აცრემლებული იამბისტი — დავით გურამიშვილიც, რომელმაც შეჰქმნა საკუთარი ესთეტიკა და ბლომად დალვარა საკუთარივე ცრემლი. მას აქვს ქართული პროფილი და გაგება სიტყვის შინაგანი სივრცის.

ბესიკისთვის სიტყვა სცოცხლობდა ანარეკლებით. მან უკვე იცოდა, რომ სიტყვას შეუძლიან რიტმში სამყარო შეამუყვდიოს. მას უყვარდა სიტყვა, როგორც მასალა პოეზიისა, მისი ფერი და ფორმა, თუმცა მისი მეტაფიზიური სილრმე ვერ არი შეერთებული მხატვრულ ფორმასთან.

დღემდის გაუგებარი რჩება საიათნოვაც. მისი სიტყვები დაძირულია ნორჩი ალმასებით.

მას აქვს ქართული სინათლე. ახალი პოეტები უსათუოდ მოსძებნიან მას ჩაღვენთილ სიტყვას და ის ახალი ბრწყინვალებით აღდგება ქართულ რონსარად.

ძველს ქართულ ლირიკას ათავებს სამეფო კანცლერი სოლომონ ლეონიძე. მან დასწერა სამგლოვიარო მარში მეფე ირაკლიზე „აღსდეგ გმირთ გმირო ნუ გძინავს“. რომელიც გამართულია და დაჭიმული მძლავრი ხელით. ამ ლექსში თითეული სახე და სიტყვა მოშვილდულია დიდი სიხარბით. მას აქვს ვერჰარნისებური რიტმი.

ქართული ლირიკა სრულიად გამოუკვლეველია. რად ჰღირან ჯერ მარტო ლირიკოსები გოჩა და გი- [illegible] მთაწმინდელი, რომლის „სა-ვინმე მენაბდე, რომელიც საბჭოთა მისიის სგენტათ ითვლებოდ, გამორკვეული იქნა აგრეთვე კავშირი საბჭოთა წარმომადგენელობასთან საფრანგეთის მისიის შიკრიკის ნამხეთის ქვეშევრდომის მარგოსიანისა, რომელიც საფრანგეთის სამსახურში ითვლებოდა ოფიციალურად. როგორც გამოირკვა მენაბდე ყველა კონვერტს წინასწარ აძლევდა საბჭოთა საკონსულოს, სადაც ხსნიდენ კონვერტებს და შინაარსის გადმოწერის შემდეგ აბრუნებდენ უკანვე. სექტემბრის 14 მენაბდე სწორედ იმ დროს იქნა დატუსაღებული ალექსანდროვის ბაღში, როდესაც იგი აძლევდა ღია კონვერტს საკონსულოს ინფორმაციულ განყოფილების გამგეს პავჩინსკის. მენაბდესთან ერთად დატუსაღებულ იქმნა პავჩინსკი. რომელმაც ჩვენებაზედ უარი განაცხადა, მაგრამ მენაბდისაგან მიღებული დოკუმენტი გადასცა სასხლის სამართლის მილიციის უფროსს. პავჩინსკი როგორც პასუხისმგებელი მოსამსახურე საკონსულოსი განთავისუფლებულ იქნა. მენაბდის გამოკითხვამ გამოარკვია, რომ პავჩინსკის რამოდენიმეჯერ მიმართა მას (მენაბდეს) წინადადებით გადანცა მისთვის კომისარიატში მიღებული საიდუმლო დოკუმენტები.

კორესპონდენცია

შორაპნის მაზრიდან

ს. საირხე

ეს სოფელი სამხრეთიდან აკრავს დ. საჩხერეს. ესენი ერთი მეორესაგან განისაზღვრებიან მდ. ყვირილით და ეგრეთ წოდებული „ხოდაბუნებით“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ხოდაბუნები, რომელნიც განთქმულნი არიან თავისი ნაყიერი ნიადაგით და მოსავლისათვის ღამოს ზარმა“ ევროპა დაიარა?

ან ის „გამორჩენილი და დავიწყებულნი“, რომელთა შუასაუკუნეებრივი ლირიკა ხალხურ პოეზიაში გადავარდა უსახოდ?

მალე ადგებიან ძველი ქართველი პოეტები: X—XII საუკ., შუა საუკუნოებიდან და მაშინ დაგვაბრმავებს ქართული რაასის საშოდან გაბმიანებული სიტყვა.

ჭეშმარიტად, მრავალი ფერის-ცვალება ჰქონდა ქართულ პოეზიას, რომელიც დღემდე შემდგარი იყო მონგოლიზმით.

მართალია, ჩვენ არ გვესვენა მხრებზე არც რომი, არც ლათინთა კულტურა, არაფრით გვავალებდა ყველასგან მოძულებული ბებერი ბიზანტიაც, მაგრამ ჩვენი სული დანახშირდა საკუთარი ცეცხლებით.

ვიწრო და ნაჩქარევი საგაზეთო ღერილი ნებას არ გვაძლევს გავშალოთ სიტყვა საგანზე. ჩვენ ცალკე ვეცდებით გავანათოთ გადასული პოეტები—ეს ძველი ლვინოები, რომელთაც დაათვრეს ძველი საქართველო

გ. ლეონიძე.

ბალშევიკური გათუმში.

ევროპის სოციალისტურ დელეგაციის ჩამოსვლის დღეს სექტემბრის 14 ბათუმის კომუნისტების ორგანიზაციამ გადმოაყარა ფურცლები. მოწოდებაში ბოლშევიკები მოუწოდებენ მუშებს შემოკრებილიყვნენ შესამე ინტერნაციონალის გარშემო მოწოდება სავსე იყო ჩამოსულ სოციალისტების ლანძღვა გინებით და ურჩევდა მუშებს ზურგი ექციათ ყვიელ მასპინძლებისა და ყვიელ სტუმრებისათვის. ეს ფურცელი დაიჭირეს და მის გავრცელებისათვის რამოდენიმე პირი დაატუსაღეს.

ბათუმში მყოფ საბჭოთა საკონსულომ რამოდენიმე ხნის შემდეგ აღძრულ შუამდგომლობა განსაკუთრებულ კომისარის წინაშე დატუსაღებულთა განთავისუფლების შესახებ. შუამდგომლობას საკონსულო ასაბუთებდა მით, რომ დატუსაღებულნი საბჭოთა მოქალაქეები და მცირე წლოვანი იყვენო. გარდა ამისა დაპერილ ექმნა ვინმე სერგეი მელიკ-ოსიპოვი, რომელსაც საბჭოთა მიერ მიცემული ბირადობის მოწმობა წარადგინა, რომლითაც ირკვევოდა, რომ იგი რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენ ის თანაშემწეთ და სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეთ ითვლებოდა. მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ მელიქ ოსიპოვი ურიგებდა პროკლამაციებს თავის აგენტებს ხალხში გასავრცელებლად, ოსიპოვი, როგორც კი იქნა წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთები, რომ იგი მართლაც საკონსულოს მოსამსახურე იყო, დაუყონებლივ გაანთავისუფლეს. ამავე დროს ბათუმში მოვიდა ცნობები თბილისის სისხლის სამართლის მილიციისაგან, რომ განსაკუთრებულ კომისარის კანცელარიაში მსახურობს

ბალშევიკური

ბალშევიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ ჭალებათ ითვლებიან ზემო იმერეთში, თავიდგან მთლად წერეთლების საკუთრებას შეადგენდენ, შემდეგში კი პირველმა პატრონებმა ნელ-ნელა იწყეს მათი გაყიდვა და ამ ბოლო დროს, მცირეოდენ ნაწილს გარდა, წვრილ მესაკუთრეთა და ვაჭრების ხელში გადავიდა. რაც დარჩა შემამულეთა ხელში, დღეს ახალი კანონის ძალით ჩამოერთვა მათ და ფონდის მიწებათ შეირაცხა. ეს ხოდბუნები, მდინარე ყვირილის მარცხნით, რამოდენიმე ვერსის სიგძესიგანეზეა გადაჭიმული და მნახველს ხიბლავს თავისი მშვენიერი მდებარეობითა და სიტურფით. ადამიანი თითქოს ვერ ძღება მათი ცქერით, ნამეტურ როცა ისინი პურითა და სიმინდით აწყვანებულნი არიან. მოსავლის მხრით ხომ უზრუნველი ყოფილია ეს მიდლით შემოსილი ადგილები, რომელიც დაპატივებას სრულიად არ საჭიროებს და მოსავალს კი ყოველ წლობით უხვად იძლევა. მოსავალი ხომ ერთი ორად და სამად იქცევა, რომ აქ წყლის საადვნი არხები იქნეს გაყვანილი, რაიცა ადვილი მოსახერხებელია მდინარე ყვირილიდგან.

აი ამ ხოდაბუნების თავზე, სხვათა შორის, საშრეთით სძევეს საირხე, რომელშიაც დღეს ითვლება 200 ოჯახზე მეტი მცხოვრები და რომელნიც მხოლოდ ხვნა-თესვას მისდევენ, მიწა აქ ძალიან ნაყოფიერია, მაგრამ მცხოვრებლებისა გამო, აქ ადგილის სივიწროვე მეტად თვალსაჩინო ხდება, ამიტომ ერთ მტკაველ ადგილსაც კი ფეღარ ნახავთ დაუშუშავებელს. საბალახო ადგილები და ტყეები აქ სრულიად ადარ არის, რაც ძალზე აკიწროებს აქაურ მცხოვრებლებს, რადგან ნახირის ყოლა შეუძლი შეიქნა. მაგრამ ამას კიდევ გაუძლებდენ აქაურები, რომ უშეშობით სული არ ქონდესთ გამწარებული. საზოგადოთ, ტყის საქმე აქეთ მეტად მოუწესრიგებელია და ამისათვის ხალხი უკმაყოფილებას აცხადებს. ხშირად გაიგონებთ შემდეგ სიტყვებს: ეს დალოცვილები (სოციალისტები) გვეუბნებოდნენ, რომ ტყე უფასოთ იქნება, რადგან ხისათვის წყალი არავის მიუსხამსო და ახლა ფასადაც ადარ გვაძლევენ, რამდენჯერ ვსთხოვეთ მთავრობას, მისი წარმომადგენლების პირით, მაგრამ მაინც არა გვეშველა რაო.

ამას თუ ანგარიში არ ჩავთვლით, სხვა მხრით მშვენიერი და კეკლუცი სოფელი ხაირხე. აქ შეიძლება ყოველი დარგის მეურნეობის აყვავება: ბაღების, ვენახების გაშენება, მეფუტნეობის, მეაბრეშუმეობის და მეფეტკრეობის წარმოება და სხვა. მაგრამ სად არის ამისათვის ზრუნვა-პატრონობა!.. ადგილების დამუშავებაც ხომ მამა-პაპურია, ათასჯერ, მხოლოდ მტკაველ სიმაღლეზე გადაქექილმა მიწამ ან კი რაღა უნდა მოგცეს! აქაური მოსავალი ერთი ათად და მეტადაც იქცევა ბონიერული წესით დამუშავებით და სხვა და სხვა სასარგებლო, ნიადაგთან შერწყული თესლეულობისა და მცენარეულობათა გავრცელებით.

ამისათვის არის, რომ ეს სოფელი ღარიბია, თუმცა ეს ასე არ უნდა იყოს, რადგან ჰაერ და ნიადაგი მიწისა საუცხოოა. დღემდის აქ არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობდა, მხოლოდ წელს დაარსდა პირველ-დაწყებითი დაბალი სასწავლებელი და ვერ წარმოიდგენთ რა სიამოვნებით და აღტაცებით შეხვდა ხალხი ამ საქმეს! მახსოვს, თებერვლის ცივი დღე იყო, ხალხს მრავლად თავი მოეყარა ადგილობრივ ეკლესიის თოვლით დაფარულ გალავანში და ბჭობდენ სასწავლებლის დაარსებაზე. ესრეთი ერთსულოვნება სკოლის საქმეში მე არხად მინახავს, არავინ წინააღმდეგი არ გამოჩნდა იმისა, რაზედაც წინათ მოთრახებით ვერ დაითანხმებდი.

აღსანიშნავია ეს ცვლილება სოფლის ხალხის ცხოვრებაში; ჩვენმა ხალხმა იცნო, თუ რით შეუძლია გახდეს ის ბედნიერი და სწავლა-განათლების საქმეს დიდის პატივით ეპყრობა. აქ საჭიროა მხოლოდ არა მარტო სიტყვით და რიხით დახმარება ვისგანაც ჯერ არს, არამედ საქმითაც, ესე იგი რეალურად, რასაც დღეს სოფლის ხალხი ვერ ხედავს და რაც მას გულს უტეხს. ასე დაგვიმართა ჩვენც. დიდის აღტაცებით შეუდექით საქმეს, ჩვენ შორის აღმოჩნდა იშვიათი ქველ-მოქმედიც, ალექსანდრე ივანეს ძე ლაშხი, რომელმაც დიდებული ადგილი, ზომით ერთი ქცევა, შესწირა სკოლისათვის. შეადგინეთ სასკოლო წენობის პლანი და ყოველივე საჭირო ქაღალდებით გავგზავნეთ დასამტკიცებლად სამაზრო ერობაში და თანაც დახმარება ვსთხოვეთ ამ საქმეში. მაგრამ ამ დროს, მეზობელ სოფელ ჭორვილაში, სადაც ჩვენზე წინ შეუდგნენ სკოლის დაარსებას, ხმა გავრცელდა, რომ იქ სამაზრო ერობამ იკისრა სკოლის შენობის აგება და სოფლიდან კი მხოლოდ მცირე რამ ხარჯვებს ძოითხოვსო. ჩვენც, რა თქმა უნდა, მოვინდომეთ გვესარგებლა ამ შემთხვევით და მივმართეთ თხოვნით სამაზრო ერობას. ამასობაში ბევრი დრო გავიდა, იმედები გაგვიცრუვდა და იძულებული შევიქენით ბოლოს, საშინელი სიძვირისა გამო, ხელი აგველო იმ გეგმის შენობის აგებაზე, რომელიც ჩვენ თავსვე გვქონდა. ახლა რომ სასწავლებლისათვის შენობა შევიძინეთ, აჩრდილთაც კი არ ჩაითვლება ჩვენი პლანის შენობასთან შედარებით, რომელიც მეტად ადარ დაგვიჯდებოდა, რომ სხვის შემჩერე არ ვყოფილვიყავით და ამის გამო დრო ტყვილა უბრალოდ არ დაგვეკარგა. მაგრამ, ნაიქებამი რომაა: „საითკენაც გავიქეცით, იქით წავიქეცით“, სწორეთ ისე დაგვემართა. კარგი იყო ცოტა რამ დახმარება ალმოეჩინათ ამ საქმეში და სოფლის ხალხი [illegible]ალისებინათ. პირიქით ყოველი მხრიდან ყოველივე შემწ[illegible] ზე უარი და უარი და, შერე რო[illegible] ლებური, კარგად ნაცნობი [illegible] ოკრატიული. ამასთან, მარ[illegible] სათავეში მოქცეული ზო[illegible]

[illegible] ფინანსობას და უცნაურ ინტერესიანობას ეწევიან და ჩვენ თხოვნებს საჩივარს უწოდებენ. სამწუხაროა ესრეთი მოვლენა ამ ძმობა-ერთობის დროს! აღგილობრივი ერობა (თემის გამგეობა) ხომ ყურსაც არ იბერტყავს, თითქო მას სრულიად არ შეეხებოდეს ეს საქმე. დიდი მადლობის ღირსია დამფ. კრებ. წევრი გ. ვეშაპელი, რომელიც გულ-შემატკივრობას იჩენს ამ საქმეში,—თანაგრძნობით გვეპყრობა და გვეხმარება (მაგალითად სკოლისათვის საჭირო მინების შეძენაში)...

ამგვარად, სკოლის საქმე შემდეგ მდგომარეობაშია: გვაქვს მშვენიერი, ზომით ერთი ქცევა მიწა (მერე, თუ საჭიროდ დავინახავთ, შემომატებაც ადვილი საქმეა), ზედ დადგმულია სასწავლებლისათვის ხის შენობა ორ თვალიანი; შიგნით მოწყობილება, საკლასო ავეჯი გვაკლია, ვჩქარობთ რაც შეიძ[illegible]ება, მაგრამ უსახსრობისა გამო საქმე ჯერ კიდევ ვერ დავამთავრეთ. სწავლა ამ სკოლაში ღვინობისთვის ერთ კვირას გასულს დაიწყება, პარტებათ ჯერ-ჯეროობით, უბრალო ფიცრები და გძელი სკამები გვექნება. ჩვენ გულითად ნატვრას შეადგენს: ეს სკოლა იქნეს სამეურნეო განყოფილებით, ამას სოფლის მდებარეობაც ხელს უწყობს და სასწავლებლის ადგილიც. მხოლოდ საჭიროა, რომ ვისაც სოფლის ცხოვრებაზე გული შესტკივა, მზრუნველობას და დახმარებას შეძლებისადა გვარად ნუ მოგვაკლებენ, ყველამ ძმურად ხელი გამოგვიწოდოს და ჩვენც დაგვიხმარონ თავიანთ კულტურულ საქმეებში.

მადლობას ვწირავთ აქაურ ნასწავლ ყმაწვილებს—მოწაფეებს, რომელთაც არ დაიშურეს არც შრომა და არც დრო, გაჭართეს აქვე წარმოდგენები, რითაც ხალხი ასიამოვნეს და მთელი შემოსავალიც სკოლას დაუთმეს.

საირხელი.

ს. პასტარძეული

(თბილისის მაზრიდან)

სოფელში გახურებული რთვლოა.

სიმინდებსაც სტეხავენ. ძაგრამ ღვინის მოსავალი სულ არ არი. სიმინდისა კი საშუალოა.

სოფლის უკანასკნელ ყრილობამ დაადგინა, რომ დაწესდეს სასოფლო ბეგარა გზების შესაკეთებლად [illegible] საზოგადო სასოფლო შენობების [illegible]გებად. ხალხი სიამოვნებით შეეგება ამ განაჩენს.

უნდა აღინიშნოს ასევე რომ ამ ზაფხულს აქეთია, ხალხმა დააწესა, ვინც კვირა-უქმეს გასტეხს, ყადაღად (ჯარიმა) მას 50,000 მანეთი გადაჰხდება. ეს დადგენილება დღემდის არავის არ გაუტეხია.

ე.

ბიბლიოგრაფია

არლეკინი Ежедневная газета театра и искусства.

დამაფიქრებელია, რომ მომავალი სეზონი სახელმწიფო თეატრებში რუსული ნიშნით მიდის.

რეპერტუარი, ტრუპპა გაცხადებები გაგრძნობინებენ, რომ რუსეთის საგუბერნიო ქალაქში ცხოვრობთ.

ყოველი რუსი დეზერტირი მსახიობი თუ მომღერალი ჩვენში ჰპოულობს გულუხვს ბინას და ეს მაშინ, როცა ევროპიდან ჩამოსული ქართველ მომღერალს მიშელ დ'არიალს (ნანობაშვილი) ვერ ვხედავთ ტრუპპაში. ეს ალბად კულისების საიდუმლოა.

მაგრამ უფრო აღმაშფოთებელია რომ საქართველოში, თბილისში ქართველი გამომცემლებისაგან, გამოდის საქართველოს თეატრისთვის გაზეთი რომელსაც გარდა ქართული ასოებიან სათაურისა, არა აქვს რა ქართული.

რას უნდა შეიცავდეს ის ჟურნალი, რომელშიც მთავარ ღერძად არის ვინმე ს. აბაშიძე და რომელიც სავსეა აგნიცევის უმნო ლექსებით.

მაგრამ საინტერესოა რომ ზ. ფალიაშვილი ეს ქართველი კომპოზიტორიც კი თაკილობს ქართულად წერას.

საგაზეთო ქრონიკაც კი სავსეა რუსულ ამბებით რუსის მსახიობებზე.

და ყოველ ამის შემდეგ გაუგებარია რა საჭირო იყო გაზეთის გამოსვლა ქართული სათაურით. რა უჭირდა რომ იგი პირდაპირ რუსული ყოფილიყო, რა საჭიროა ნიღაბი?

ბრ—ელი.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: გრ. ვეშაპელი
სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელიქ., 3.

მატარებლების მიმოსვლა

თბილისიდან მიდის

ბორჯომიდან	№ 17	7. 52
ბორჯომში ჩადის		2. 09
ფოთიდან	№ 8	9. 56
ფოთში ჩადის		10. 20
ბორჯომიდან	№ 19	2. 30
ბორჯომში ჩადის		8. 00
ბათუმიდან	№ 17	8. 00
ბათუმში ჩადის		9. 00
ბათუმიდან ჩქარი	№ 5	11. 44
ბათუმში ჩადის		11. 27
თელავიდან		8. 30
ქუთაისიდან	№ 9	9. 50
ქუთაისში ჩადის		6. 00
სანაინიდან		1. 40
ხაფ-ოდლიდან		10. 10

თბილისში მოდის

ბორჯომიდან	№ 20	12. 30
თფილისში მოდის		6. 30
ქუთაისიდან	№ 12	11. 47
თფილისში მოდის		9. 30
ბათუმიდან ჩქარი	№ 6	11. 00
თფილისში მოდის		12. 12
ბათუმიდან	№ 8	3. 50
თფილისში მოდის		7. 44
ფოთიდან	№ 4	8. 25
თფილისში მოდის		7. 47
თელავიდან		7. 00
სანაინიდან		11. 30
ხაფ-ოდლიდან		4. 25